

# ლიბერალიზმის წინააღმდეგ<sup>1</sup>

(1937 წლის 7 სექტემბერი)

ჩვენ ვემხრობით აქტიურ იდეოლოგიურ ბრძოლას, რადგან ის არის იარაღი, რომლის მეშვეობითაც მიღწეულ იქნება პარტიისა და სხვა რევოლუციური ორგანიზაციების შინაგანი შემჭიდროება, რაც უზრუნველყოფს მათ ბრძოლისუნარიანობას. თვითეული კომუნისტი, თვითეული რევოლუციონერი უნდა სარგებლობდეს ამ იარაღით.

ლიბერალიზმი კი უარყოფს იდეოლოგიურ ბრძოლას და უპრინციპო სიმშვიდის პოზიციებზე დგას. ეს წარმოშობს მუშაობის დამპალ, ობივატელურ სტილს, რომელსაც პარტიის ცალკეული რგოლები, ცალკეული წევრები და სხვა რევოლუციური ორგანიზაციები მიჰყავს პოლიტიკურ გახრწნამდე.

ლიბერალიზმი სხვადასხვა ფორმით ვლინდება:

1. წინასწარ ნათელია, რომ ადამიანი არასწორად იქცევა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არის შენი ნაცნობი, თანამემამულე, თანშეზრდილი, გულითადი მეგობარი, სასიყვარულო ადამიანი, ძველი თანამოსამსახურე ან ხელქვეითი, შენ მის წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლას კი არ ეწევი, არამედ საშუალებას აძლევ მას შემდგომშიც იმავე სულისკვეთებით იმოქმედოს, ოღონდ კი სიმშვიდე და მეგობრობა შეინარჩუნო; ანდა, შენ ოდნავ დატუქსავ მას, მაგრამ საკითხს ბოლოდღე არ წყვეტ, ოღონდ კი ყველაფერი წყნარად და უდავიდარაბოდ იყოს. ამის შედეგად ზიანი ადგება მთელ კოლექტივსაც და ამ პირსაც.

2. შენ თავს ნებას აძლევ უპასუხისმგებლო კრიტიკას ეწეოდე ზურგს უკან, მაგრამ გადაჭრით არ აყენებ საკითხებს ორგანიზაციის წინაშე; პირში კი არ ეუბნები, არამედ ზურგს უკან ყბედობ; კრებებზე სდუმხარ, კრებების შემდეგ

---

<sup>1</sup> ტექსტის ეს თარგმანი დაიბეჭდა მხოლოდ დუნიის რჩეული ნაწარმოებების ქართულ გამოცემაში.

კი ლაყბობ. შენს ცნობიერებაში კოლექტივიზმის პრინციპების ნაცვლად ლიბერალური თავაშვებულობა მეფობს.

3. თუ საქმე პირადად შენ არ გეხება, ცდილობ მისგან რაც შეიძლება შორს დაიჭირო თავი; თუმცა წინასწარ იცი, რომ ადამიანები მართალნი არ არიან, ბედნიერებად მიგაჩნია ნაკლები ილაპარაკო: აქაოდა, ბრძენი ბოროტებას გზას უქცევს, ოღონდ კი თვითონ არ შესცოდოსო.

4. შენ არ ემორჩილები მითითებებს და შენს პირად აზრს ყველაფერზე მაღლა აყენებ; გინდა, რომ ორგანიზაცია შენთვის ზრუნავდეს, მაგრამ არ გასურს იცნო ორგანიზაციის დისციპლინა.

5. შენ არ იბრძვი არასწორ შეხედულებათა წინააღმდეგ, კი არ ებრძვი მათ შემჭიდროების ინტერესებისათვის, წინსვლის, მუშაობის მოგვარების ინტერესებისათვის, არამედ მიმართავ პირად თავდასხმებს, კინკლაობას, პირადი ანგარიშების გასწორებას, ცდილობ შური იძიო.

6. შენ გესმის უმართებულო მსჯელობა, მაგრამ დავას არ იწყებ; მეტიც, თვით კონტრრევოლუციური მითქმამოთქმის შესახებაც კი არათუ არ ატყობინებ ვინმეს, არამედ მას გულგრილად ეკიდები, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

7. შენ არ ეწევი პროპაგანდასა და აგიტაციას მასებში, არ გამოდიხარ მათ წინაშე, არ ეცნობი მდგომარეობას, არ გამოიკითხავ, გულთან არ იკარებ მოსახლეობის საარსებო ინტერესებს, გულგრილად ეკიდები ყველაფერს. შენ გავიწყდება, რომ კომუნისტური პარტიის წევრი ხარ, და რიგითი ობივატელის დონემდე ეშვები.

8. თუმცა ხედავ მოქმედებას, რომელიც მასების ინტერესებს ზიანს აყენებს, მაგრამ შენ ის არ გაშფოთებს, არ არწმუნებ სხვას, არ აღკვეთ ასეთ მოქმედებას, არ ეწევი ახსნა-განმარტებით მუშაობას, არამედ ითმენ ასეთ მოქმედებას, თვალს არიდებ მას.

9. სამუშაოს შენ არასერიოზულად ეკიდები, მუშაობ ისე, რომ არა გაქვს გარკვეული გეგმა, გარკვეული მიმართულება, ხალტურობ, ყველაფერს საეგებიოდ აკეთებ, ერთი დღეც გაატარე - და მორჩა.

10. თავი დამსახურებულ რევოლუციონერად მიგაჩნია და შენი სტაჟით ყოყოჩობ, მაგრამ დიდ საქმეებს თავს ვერ ართმევ, პატარა საქმეებს კი გაურბიხარ, მუშაობ ზანტად, სწავლას უგულოდ ეკიდები.

11. შეცდომა ჩაიდინე და უკვე შეიგნე ეს, მაგრამ შენ მაინც არ გინდა მისი გამოსწორება და ამით იჩენ ლიბერალიზმს საკუთრი თავის მიმართ.

შეიძლებოდა კიდევ მთელი რიგი მაგალითების დასახელება, მაგრამ ჩამოთვლილი თერთმეტი მაგალითი მთავარია.

ყოველივე ეს ლიბერალიზმის გამოვლინებანია.

ლიბერალიზმი რევოლუციონერთა კოლექტივში უაღრესად მავნეა; ის არის ღრღნის თავისებური საწყისი, რომელიც იწვევს ერთიანობის მოშლას, შეკავშირების შესუსტებას, მუშაობაში პასიურობას, იდეურ დაბნეულობას. ლიბერალიზმი იმას იწვევს, რომ რევოლუციონერთა რიგებში იკარგება მტკიცე ორგანიზაცია და დისციპლინა, იკარგება პოლიტიკური ხაზის თანმიმდევრულად და ბოლომდე გატარების შესაძლებლობა, და პარტიული ორგანიზაცია სწყდება მასებს, რომლებსაც იგი ხელმძღვანელობს. ეს უაღრესად მავნე ტენდენციაა.

ლიბერალიზმის სათავეები იმალება წვრილი ბურჟუაზიის ანგარებიან, ეგოისტურ ბუნებაში, ვინც პირად ინტერესებს პირველ რიგში აყენებს, რევოლუციის ინტერესები კი მეორე რიგში გადააქვს. აქედან წარმოიშობა კიდევ ლიბერალიზმი იდეოლოგიაში, პოლიტიკაში და ორგანიზაციულ საკითხებში.

ლიბერალები მარქსიზმის დებულებებს განიხილავენ როგორც აბსტრაქტულ დოგმებს. ისინი მარქსიზმს ემხრობიან, მაგრამ განზრახვა არა აქვთ განახორციელონ ის ცხოვრებაში ან გაზრახვა არა აქვთ განახორციელონ ის ცხოვრებაში მთლიანად; ისინი არ აპირებენ თავიანთი ლიბერალიზმის

შეცვლას მარქსიზმით. მათ შემონახული აქვთ მარქსიზმიც და ლიბერალიზმიც; სიტყვით ისინი მარქსისტები არიან, საქმით კი - ლიბერალები. ადამიანებისათვის მათ აქვთ მარქსიზმი, თავისთვის კი - ლიბერალიზმი. მათ ბაგაჟში არის ერთიც და მეორეც, თვითეულს - თავისი გამოყენება აქვს. ასეა მოწყობილი ზოგიერთი ადამიანის ტვინი.

ლიბერალიზმი - ეს ოპორტუნიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა; ის ძირშივე ეწინააღმდეგება მარქსიზმს. ლიბერალიზმი - ეს პასიურობაა; ის ობიექტურად მტერს ეხმარება. ამიტომ ჩვენი მტრები მოხარული იქნებიან, თუ ჩვენს წრეში შემორჩება ლიბერალიზმი. ასეთია ლიბერალიზმის ბუნება, და რევოლუციონერთა რიგებში მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

განვიმსჯვალებით რა მარქსიზმის აქტიური სულისკვეთებით, ჩვენ უნდა დავძლიოთ ლიბერალიზმი მის პასიურობასთან ერთად. კომუნისტი უნდა იყოს გულწრფელი, ერთგული და აქტიური, რევოლუციის ინტერესები მისთვის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი უნდა იყოს, მან პირადი ინტერესები უნდა დაუმორჩილოს რევოლუციის ინტერესებს; ყოველთვის და ყველგან იგი უნდა იცავდეს სწორ პრინციპებს, დაუცხრომელ ბრძოლას ეწეოდეს ყოველგვარი არასწორი შეხედულებებისა და მოქმედების წინააღმდეგ და ამით განამტკიცებდეს კოლექტივიზმს პარტიის ცხოვრებაში და პარტიის კავშირს მასებთან; იგი უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს პარტიისა და მასების ინტერესებისათვის, ვიდრე ცალკეული პიროვნების ინტერესებისათვის, უფრო მეტად ზრუნავდეს სხვებისთვის, ვიდრე თავისთვის. მხოლოდ ასეთი ადამიანია იმის ღირსი, რომ კომუნისტად იწოდებოდეს.

ყველა ერთგული, გულწრფელი, აქტიური, მტკიცე კომუნისტები უნდა დაირაზმონ პარტიის წევრთა ერთი ნაწილის ლიბერალური ტენდენციების წინააღმდეგ საბრძოლველად და მიაღწიონ იმას, რომ ეს ადამიანები სწორ გზას დაადგინენ. ასეთია იდეოლოგიურ ფრონტზე ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი ამოცანა.